



მათრასი

და სალაშქრო

№ 11

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი



მღაროში!...

დეპეშები.

ნიგოითი. საშინელი ამბავი კინალამ დატრი-
აღდა კოტაურას მთებში. (ნიგოითის მახლობლათ
მდებარეობს.) ცნობილი მოღვაწე ტიტე ართმელა-
ძე, ძლიერი საექსპედიციო რაზმის თანხლებით, ჯი-
ხეთის დედათა მონასტრისათვის მთებში წყალს ეძე-
ზდა. დიდი ხნის კვლევა ძიების შემდეგ, რაზმის წი-

ნამძლოლი წააწყდა ერთ ქაობს, სადაც სხვა და სხვა
ფუსუნსალების გარდა, რამოდენიმე ასი ბაყაყიც აღ-
მოჩნდა. შეიქნა ცხარე ბრძოლა, რომელმაც თით-
ქმის გათენებამდე გასტანა. ბოლოს რაზმი ტიტე
ართმელაძისა უნაყოფოთ უკუქცეულ იქმნა, თუმ-
ცა არც ბაყაყებს დასდგომიათ კარგი დღე.

ოზურგეთი. ერმოლოვის საქმეთა გამომკვლე-
ველ კომისიაში, როგორც ამობოგენ, მიწვეულ იქ-

მნებთან: დავით ღუმბაძე, ვასილ ხუნდაძე, ნიკოკი თაყაიშვილი, დიმიტრე შგელაძე, და კიდევ რამდენიმე სხვა პირი, ვითარცა საუკეთესო „მკოდნენი“ საქმეთა მისთა სასახელოთა.


ბათუმი. კვინწარი და ბლიკვაძე.

მიზეზი არ იცინა.

ახლო მომავალში განახლებენო.

თელავი. კლუბის გამგეობამ დაადგინა: კვირა-უქმე ღღეებში ნება დართოს კლუბის დარბაზში ტეკვაობისა ორი თვის ბავშვებსაც.

ქუთაისი. ზარნაბა ლოლაძე სიხარულით ფეხზე ვერ ღგება მას შემდეგ, რაც მისი „ახალი გამოგონება“ გამოქვეყნდა.



ემბკი ასტა-დსტა!

(ინტერვიუ.)

„ტყვილა ჯდომას, ტყვილა შრომა სხო-ბია“-ო უთქვამს ვილაცას და ამა თქმულების მიხედვით განვიზრახე ზოგიერთ „მარილთა ამა ქვეყნისათა“ ნახვა, მათთან ლაპარაკი, მათი განზრახვის გაგება, ანუ როგორც ევროპელები იტყვიან „ინტერვიუს“ მოხდენა. წარმოიდგინეთ, ევროპიულ გაზეთს უამისოთ ცხოვრება არც შეუძლია თურმე, ჩვენში კი ნეტარ ხსენებულმა პართენ გოთუამ შემოიღო ეს განყოფილება, როცა მომღერალ ქალის, ვან-ბრანდტის, ჩვიდმეტ მილიმეტრიან ძაღლს ესაუბრა არტისტი ქალის შესახებ. გარეშე პართენისა ჩვენში სხვა არავინ აქცევს ყურადღებას ამ საქმეს და ამიტომ კიდევაც ვერ ხეირობენ. ძნელი კია ინტერვიურის საქმე და მოვალეობა, მაგრამ რა გაწყობა: დავიწყეთ.

წერა-კითხვის საზოგადოებაში.

დიდის მოკრძალებით შევცოცდი საზოგადოების კანტორაში, ძველათ, მდივანთან მისასვლელი კარები წიგნის მაღაზიაში გადიოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქარმა 600 თუმნის ქაღალდი გაიტანა და გაფლანგა, გამგეობამ სხვა კარები გახსნა. ძლიერ მესიამოვნა!

მივესალამე ქოჩორა მდივანს, ძლიერ თავაზიანი ყმაწვილია.

— ეს კარები სწორეთ ჩინებულათ მოგიწყვიათ! მორიდებულათ მოვახსენე, ვინაიდან ძნელია უცებ დიდრონ საქმეზე მუსაიფის გამართვა.

— გამოცდილება საუკეთესო მასწავლებელია, ბატონო ჩემო!

— თავად ბატონო, ერთი ეს მიბრძანეთ: ხომ კარგათ მიდის საზოგადოების საქმეები?

— ჩინებულათ, სწორეთ ჩინებულათ! გამგეობის წევრთა შორის სრული თანხმობა-სოლიდარობა და მყუდროება სუფევს.

— საქმიანობენ, არა?

— ოოო! რასაკვირველია! მოსვენება არა გვაქვს, მოსვენება. აქეთ სკოლების რევიზიამ, იქით მამულების ყურის გდებამ, კიდევ აგერ სტიპენდიების განაწილებამ, ამას დაუმატეთ სპარსელი ქართველები და ნათლათ მიხვდებით რამდამე უღელი გვაძევსკისრად.

— თანხმობა პირველი საქმეა. ეს აღბათ იმითომ არის, რომ გამგეობაში სულ უპარტიო ხალხი მოხვდა.

— რასაკვირველია!

— გუშინ წინ, არტურ ლეისტის ხელმძღვანელობით ილიასეული, სახლი დავათვალიერე, ანდრეევის ქუჩაზე. ღმერთო ჩემო, რა მშვენიერ მდგომარეობაში ის დამხვდა!

— მოგეწონათ არა?

— რა ბრძანებაა! სწორეთ უპარტიოთა გამგეობას შეეძლო ისე მშვენივრათ და უპატრონოთ დაეტოვებია იმოდენა განძი. წარმოიდგინეთ: ქერი საუცხოვოთ ჩამონგრეული, ოთახები ჩინებულათ დამტვერიანებული, ნივთები მიყრილ-მოყრილი, წინ პატარა ბაღი გადახმარა, კარები მორყეული და ფანჯრები ჩაღეწილი. რომელი ერთი ვთქვა.

— ოოოო რა იცოდეთ რამდენი შრომა ჩვენ მასზე მიგვიძღვის! ლეისტი რა აზრასა თუ შეატყვეთ?

— განცვიცრებულაა თქვენი საქმიანობით, სწორეთ განცვიფრებული. როგორც შევატყვე, მისი აზრით გოტენტოტების რესპუბლიკაშიც იშუიათი მოსაძებნია ასეთი გამრჯე მოსაქმეები.

— ჰაი ჰაი რომ იშვიათია!

— ამბობენ საგურამოს მამულიც ასეთ ჩინებულ პირობებშიაო.

— რასა ბრძანებთ! იქ კიდევ უფრო დაწინაურებულია საქმე.

— ახლო მომავალში რა განზრახვა აქვს თქვენს გამგეობას; რას ეპირებით სამშობლოს საკეთილდეთო?

— რა მოგახსენოთ. ჯერ-ჯერობით ორი სტიპენდია გვაქვს გასანაწილებელი. შემდეგ ვანვარძობთ სამკითხველოები დახურვის საქმეს...

— როგორ? განა წვიმა უვლის?

— არა, სადაური წვიმა! დახურვა-დაკეტვის რაღა. აქ მეზობლათ რო გვქონდა ის კარგა ხანია დაეხურეთ.

— მოსაწონია, მოსაწონი. ასეთი „საქმის უნარიანი“ გამგეობა ჯერ არა ჰყოლია ჩვენს ბედ-კრულ საზოგადოებას. გმადლობთ მშვიდობით განახეთ?

— გზა მშვიდობისა, ბატონო ჩემო.

ბანკის ბაღში.

მე აჩქარებულის ნაბიჯით გამოვედი კანტორიდან და ბანკის ბაღში შევეუხევე. მითხრეს: დღეს გამოჩენილი ქართველი ქალი თამარა კოტინი ქიდაობსო. ქიდაობა საზოგადოთ ძლიერ მიყვარს, მაგრამ ჩხუბის მეშინოდა. ხუმრობა საქმეა, ვინმე მოსეირნე გაგინმობს „ნა პარუ სლოვ“ და იმდენს გიბინიკებს ნახევარი ვერ დათვალო. ცნობის მოყვარეობამ მაინც სძლია შიშს და მცირე ყოყმანის შემდეგ შევიტარმა ქალბატონ თამარა კოტინის ოთახში შემიყვანა.

თამარა კოტინის ქალი მართლაც ახდენს „ჩემპიონის“ შთაბეჭდილებას: დაბალი, ჯიჯგვი ტანისა; მრგვალი პირისახე უფრო კაცისას მიუგავს, ვიდრე ქალისას. ეშმაკურ თვალეებში მაშინვე შეატყობთ, რომ სპირტუელების მოყვარულია.

— როგორ ფიქრობთ, ხომ არ შეარცხვენთ ჩვენს მრავალ ქირანხულ მამულს? შევეკითხე ქ-ნ თამარა კოტინს.

— აბა რა მოგახსენოთ, ინგლისის ჩემპიონი არ შემოძლია დავიკვებო და დანარჩენებს ყველას დავაწვენ მგონია.

— სად შეისწავლეთ ეგ სანაქებო ხელობა?

— ნუ თუ პირველად გესმით ჩემი სახელი? მიკვირს სწორეთ!

— წარმოიდგინეთ, რომ პირველათ. მე და არა თუ მე, ჩვენში ბევრმა არ იცოდა თუ ჩვენს მამულს ასეთი გამოჩენილი მოქიდავე ქალი გააჩნდა.

— განა არ გახსოვთ, ჯერ კიდევ «საიუბილეო» გამოფენის დროს დადიოდა ჩემზე ხმები. მერმე ცნობილ „ბელვიუში“ ვშრომობდი და ახლა აქ გავჩნდი.

— სწორეთ დიდ მადლობას გიძღვნი ჩვენი საზოგადოების მხრით და იმედი მაქვს არ გავვიტრუებთ იმედებს.

— რაც ვაფწყობა თავს არ დაფხოგავ, ჩვენ გვარში კვებნა და ტყუილები არ იციან.

— მართლა, კინლამ გადამაფიწყდა, თქვენ გვარს ერთობ ბევრი შეჰყავს შეცდომაში. ამბობენ თქვენ უცხოელი უნდა იყოთ.

— Чудаки! რას ამბობთ, მე წმინდა ქართველის სისხლი მიღვლს. მართალია ჩემი ძველები იტალიიდან გადმოსახლდნენ, მაგრამ მას შემდეგ რვა მილიონი წელია გასული.

— რასა ბრძანებთ! ხო არ გახსოვთ რომელი თაობა გადმოსახლდა: პაპა თქვენი, თუ პაპის პაპა?

— როგორ არ მახსოვს, პაპაჩემი, დიხ პაპაჩემი.

— იქაც კოტინები იყავით?

— ჩვენა?

— დიხ თქვენ.

— იქ კოტინები რატო ვიქნებოდით. ეს ახალი გვარი პაპა ჩემმა აქ დაირქვა.

— მაშ იქ რა გვართ ცხოვრობდით.

— იქ... იქ... იქ მგონი მესხებს გვეძახდნენ; მგონი მეთქი, კარგათ აღარ მახსოვს.

— წარმოიდგინეთ!

— რა იყო? რა გაგიკვირდათ?

— რა გამიკვირდა და ისა რომ მესხები ჩვენ-შააც ცხოვრობენ. ახლა მშვიდობით ბრძანდებოდით. იმედი მაქვს არ შეგვარცხვენთ.

— რასა ბრძანებთ, სრული იმედი გქონდეთ...

დიდათ ნასიამოვნები გამოვედი ბანკის ბაღიდან. თამარა კოტინი ფანჯრიდან მემ შვიდობებოდა, ვიდრე კიბეზე არ ჩამოვედი და „ზაკავაზიის“ რედაქციისაკენ არ გავეშურე.

„ზაკავაზიის“ რედაქციაში.

ყველა რედაქციებს თურმე საკუთარი არშინით ვზომავდი; აქ უცებ განცვიფრებაში მოვედი! მითხრეს: აქეთ მობრძანდით რედაქტორის კაბინეტშიო. მეც ვეახელი, თუმცა შიშითა და მოკრძალებით.

რედაქტორი, წინააღმდეგ ჩემი მოლოდინისა, ერთობ თავაზიანათ მომეპყრა.

— რით შემოძლია გემსახუროთ? რუსული ქართულით მკითხა მათმა ბრწყინვალეობამ. მე გულში ჩამეცინა და გავიფიქრე: „ყველაფრით, ოღონდ მუშტით ნუ მეთქი“.

— მინდა თქვენი აზრს გავიგო თანამედროვე კითხვების შესახებ; ალერსიანად ვუპასუხე მეც და ცოტა არ იყოს გავთამამდი.

— რის აზრები? ჩვენ აქ არავითარი აზრები არა გვაქვს...

— არა, ისე მინდა ცოტა რამ „მიმინოს“ ისტორიის შესახებ გკითხოთ.

— რაო? ჩვენ აქ არავითარ ისტორიას არ ვარიგებთ.

— როგორ არ არიგებთ, თქვენო ბრწყინვალეებო, აი „გუშაგში“ რომ დასწერეს თქვენზე...

— „გუშაგი“ რასა ქვია?

— გუშაგი გაზეთია, თავადო.

— რა გაზეთი? მე გაზეთს არა ვკითხულობ. ჩემთვის სულ ერთია!

— მაშ პოლემიკას როგორ ეწვეით?

— მე გაზეთს არა ვკითხულობ, გაიგეთ? მე პოლემიკის თავი არა მაქვს, რას მიქვია პოლემიკა? აი ჩემი პოლემიკა, ხედავთ?

თვალის დახამხამებაში თავადმა მარჯვენა ხელის თითებისგან ერთი ისეთი სიმრგვალე შექმნა და ისე მრავალ მნიშვნელოვანად დამიყენა ცხვირ-წინ, რომ უნებლიეთ უკან დავიხიე.

— აი ჩემი პოლემიკა! ხელმეორედ ჩაილაპარაკა რედაქტორმა და საშიში იარაღი ძირს დაუშვა.

— მაშ თქვენ გაზეთში პოლემიკას არ აპირობთ?

— მე არავისი არ მეშინია! იცოდეთ ჩემთვის სულ ერთია! ვისაც უნდა ჩემთან ანგარიშის გასწორება მე მუდამ მზათ ვახლავართ; ამასთანავე ვისაც რით ენებოს: გინდ მუშტით, გინდ კეტით, გინდ ხანჯლით. ჩემი პოლემიკა აი ეს არის... აქ კიდევ ერთხელ და უკანასკნელათ წამომაჩვენა ის ბაბილონის გოდოლი, რომლითაც დამსახურებული რაინდის სახელი მოიპოვა მათმა ბრწყინვალეებამ.

— უკაცრავათ თავი შეგაწყინეთ, მაგრამ ერთი ეს მიბრძანეთ, გიორგი ამილახვარის შესახებ თქვენ ვგონებ „ჩვენი აზრი“ გეკამათებოდათ?

— „ჩვენი აზრი“ რას მიქვია? ჩვენ დიხაც ჩვენი აზრი გვაქვს, მაგრამ ვერავენ ვერაფერსაც ვერ გვაწყენს.

— თქვენ ალბათ ვერ გაიგეთ, თავადო. „ჩვენი აზრი“ გაზეთის სახელია.

— ეგ რომელ ენაზე იბეჭდება?

— როგორ თუ რომელზე, ქართულზე.

— სულერთია! მე გაზეთებთან საქმე არა მაქვს. არც კი გამოიგონია მაგეთი სახელი.

— მაშ თქვენ სულ არა კითხულობთ გაზეთებს?


— რათ უნდა ვიკითხო? ვისაც ჩემთან ანგარიშის გასწორება უნდა მე მუდამ მზათა ვარ. ვისაც რითი ენებოს. ჩემთვის სულ ერთია: გინდ ხმლით, გინდ ხანჯლით, გინდა მუშტით. მე არავისიც არ მეშინია! ჩვენ სხვა საპოლემიკო იარაღი გვაქვს.

— რა გაეწყობა, ღმერთმა ხელი მოგიმართოსთ. მშვიდობით!

— მშვიდობით, მშვიდობით. ყველას უთხარი, რომ მე არავისი არ მეშინია, ვისაც ანგარიშის გასწორება უნდა მე მუდამ მზათ ვარ რითაც კი უნდათ.

უკანასკნელი სიტყვები კიბეზე მესმოდა და გაჩქარებული მივეშურებოდი „ივერიისაკენ“.

ემშაკი.



ს ი ზ მ ა რ ი

აბდულ-ჰამიდმა სიზმარში
მაჰომედ ალი იხილა
და უთხრა: „შენი გმირობა
თუმცა მრავალჯერ მსმენია,
მაგრამ ყაზახთა ბრიგადა
კარგი რამ გაგიჩენია!!
სხვამ ჩაგაგონა ეს აზრი
ან თუ შენ მოგიგონია?
ის რო არ გაყადეს, ამდენ ხანს
დამარცხდებოდი მგონია,
მადლობა ალლახს, გამაგრდი,
შერჩი სამშობლოს მცველათა,
თორემა გაგიხდებოდა
ხალხი მტერთ საწიწყნელათა“.

მაჰომედ ალიმ უოყონ
მიუგო აბდულ ჰამიდსა,
— რას მოვესწარით, მობილო,
ამ აჯანყების ამინდსა!
ჯერ იყო ხალხი მფარველი
გაგვინაწყენეს ჩრდილოსა,
ახლა ვილაცა „ყაჩაღს“ სურს
ტახტზე რო შემეცილოსა.
მაგრამ მოგეტყვას სიცოცხლე,
მე საქმე უყავ იმათა
თოკებზე ჩამოვიციდევი
ფეხების გასაქიმათა.
მეჯლისის ნანგრევებზედა
ავმართე საბრჩოზებლანი

და ჩამოვიდე ბაწრებზე
ვინც მაწუხებდა ყველანი.

— სხვაფრივ, ირანის იმედო,
აბდულ არ გაგიპირდება,
ახრჩვე და ახრჩვე, ვიდრემლის
თოკი არ გაგიძვირდება.

— შენი საქმე და სახელი
წინ მიდგას, ჩემო კეთილო!
განა ცოტა ჰქენ საქმენი
მეფეთა საგაკეთილო?
ვინა ხედედეს, არ ბაძოს
ნასაქმურს შენებურებსა?
რათა ღირს მეფე, სიავეს
რომელიც დაიშურებსა?
შენ იყავ ჩემი იმედი,
შენობა მენატრებოდა
ვკვდებოდი ოდეს ვხედავდი
რო შთვარე შენი კრთებოდა.
დღეს, მადლი აღლასს, დათრგუნე
შენ მტერთა შენთა ძალები
და მიიმაღენ, გაქარწყლდენ
მუხდალნი შესაბრალები.

— ოჰ, რა თქმა უნდა, დამარცხდა
დაჰყარა მტერმა აბჯარი!..

შენ ცოტა იმან დაგცარა
რომ არ გივარგა, ძმავ, ჯარი.
ხალხი თუ გებრძვის, ძვირფასო,
რას გიზამს ერთი ბრიგადა:

ურცხვი ხმალი გქირია
ურჩ ხალხთან შესარიგადა.
უნდა დარაზმო მრისხანე
„ჰკა მაგასაო“ დასძახო,
და ურჩობისთვის ბედკრულებს
სულ „გაი დედა“ აძახო.


აბდულმაც იშტა მოსულმა
დაჰკვესა, დაიღრიალა...
გამოვლვიდა აეხსნა...

მოხუცს დარდების იალა:
ირგვლივ მაღალი კედლები
არტყია „მეფის“ ბინასა,
კარებს დარაჯნი იცავენ
უკანასა და წინასა.

არც იცის ქვეყნად რა ხდება
წარსული არცა მდგომარე...

არც ისა: ალი მაჰომედ
ბესტში რომაა მჯდომარე.

ეშმაკი.



ორი ეშმაკი.

ზარ. ეშმ. როგორ? ძლიერ გაჯავრებული
იყო?

შეორე. მტერს ძმაო, მტერს შეეყაროს ისეთი
გაცეცხლებული!

ზარეკლი. მართლაც და ქონდა საბუთი გამწყრა-
ლიყო! მისი გულისთვის საწყალ გაჩეჩილაძეს კი-
ნაღამ ერთი ალიაქოთი აუტახეს. ვის რა ხელი აქვს
ვაქრის ანგარიშებთან?

შეორე. არა, стои братъ, равняйся! ვაქარი
ვაქარია, მაგრამ აქ საქმე ხელის მომწერლებზე და
საზოგადოთ გამომცემლობაზეა.

ზარეკლი. ჰო და რაც უნდოდა იმ კაცს აიღო
და ის გამოსცა. ვის რა საქმე აქვს?

შეორე. ვა, გიჟო! გეუბნები ხელის მომწერ-
ლებს დიახაც რომ აქვთ საქმე იმ წიგნთან, რომე-
ლიც მათი საშვალეობით იბეჭდება და მათ ურიგდე-
ბათ.

ზარეკლი. მერე? არ დაურიგა თუ რა? ჯერ
„დროებაშია“ კი ეწერა: „მშვენიერი ყდები
აქვსო.“

შეორე. შე კაი კაცო ყდებისათვის ხომ არ
მოუწერია ხელი იმდენ საზოგადოებას? ისინი წიგნს
ელოდენ:

ზარეკლი. მერე? მარტო ყდა ხომ არ ყოფი-
ლა?

მეორე. კარგი ერთი მამა-გიცხონდება, ჩვენ ერთმანეთისას ალბათ ვერაფერს ვერ გავიგებთ.

ზარგელი. კარგი, კარგი... შენ ერთი ის მითხარი, მთავარ ეშმაკს რაზე მოუვიდა გული.

მეორე. ის „ჩანგის“ მობიბლიოგრაფზე განრისხდა, რომ წაიკითხა, მაშინვე მიაწერა თურმე ბოლოზე:

ვინცხა ავი „შეფელო“
ალბათ მოუნდა წკებელი“-ო

ზარგელი. მერმე რა იყო იქ საწყენი?

მეორე. რა იყო და: ჩემი მიზეზით სრულიად უდანაშაულოთ ლანძღავენ კაცსო. გაჩეჩილაძემ მშვენივრად იცოდა, რომ არც ერთ განაწერს მის „ახალ ჩანგში“ დასაბეჭდათ არ დაეფანებებდი და არც მოუთავსებიაო».

ზარგელი. ვითომ რა ამბავიაო?

მეორე. ალბათ აქვს ამისი მიზეზი, თორემ ზეპირათ ლაპარაკს ხო არ დაიწყებს? ერთი ნაცნობისთვის ეთქვა ამის შესახებ:

„მიხეილ გაჩეჩილაძე
ერთი უბრალო ჩარჩია,
რათ გიკვირთ ვაჟა-ფშაველას
თუ გრიშა შვილი არჩია?-ო
რა ესმის წიგნის შედგენის,
ზის უმეცრების ქურშია...
მწერლობის ცოდნა კი არა,
ლუკმები მიაქვს ყურშია“-ო

მათლაც რა მიხა გაჩეჩილაძის საქმეა „ჩანგების“ შედგენა! ერთი დამხრჩეალი კალენდარი გამოიწყო და იმას ვერ გაართვა თავი და ბოლო.

ზარგელი. რა ვუყოთ შე კაი კაცო, ჯერ არაფერი ესმის, მაგრამ ახალგაზრდა კაცია და ისწავლის.

მეორე. ერი ჰააა! შენ იმასაც იტყვი, რომ ჯერ სულ ბავშვია და ნიქიც ბლომათ ეტყობაო! ღვთის მადლით ჯერ-ჯერობით მხოლოდ „ოტისკების“ საქმეში გამოიჩინა ნიქი.

ზარგელი. ვაჟა-ფშაველა იმისთვის გამოირცხა მწერლებიდან, რომ მედიატორეში იყვნენ; ეს ჩემი აზრით სულაც არ არის დანაშაული: გემღური და რა გინდა ძმაო, ძალაზეა?!

მეორე. ძალაზე არაა, მაგრამ ხომ უნდა უსაყვედურო კაცს დანაშაული?

ზარგელი. ერთს არ ჩაუწერა, მაგიერში სხვები მოიმაღლიერა. ვინ სხვებია ნეტავი შიგ ჩაგდებული?

მეორე. მოიცადე და გაიგებ. მთავარი ეშმაკი უყურადღებოთ არ დატოვებს ამ საქმეს.



მისტიკური.

(რკ. გზ. მთავარ სახელოსნოს მუშათა ნაწილისთვის.)

ამდენს ხანს ორნი ვიყავით
მიგჩანჩილებდით გზაზედა,
მტრათ ავეკიდეთ ერთმანეთს
ვეშლიდით სწორ-გზით სვლაზედა.
ხან, მუჯღუგუნებს ჩავეკრავდით
ხან კეტს ურტყამდით თავზედა,
ხანდისხან დაუნდებლათ
თავსაც ვუხლიდით ქვაზედა.
ორივე ჩვენის აზრითა
ვეჭკობდით მომავალზედა,
ორთავ გვინდოდა: სიმშვიდე,
სიმართლე ქვეყანაზედა. *)
მაგრამ დავსუსტდით ორივე
ქანც მორეული ძალზედა,
ერთმანეთს ღონე შევლიეთ
დავცვივდით შარა-გზაზედა.
დავრწმუნდით შეცდომაშია,

*) გაგვიანაწყენდა ეშმაკი
ამ ლექსის წაკითხვაზედა

რედ.

ვიფიქრეთ ერთობაზედა, *)
 მაგრამ გამოჩნდნენ მტერები
 და ისევ გაგვყვეს შვაზედა,
 თუმცა ძველებურათ ერთმანეთს
 არ ვსდევდით სიტყვის თქმაზედა.
 ჩვენ სხვანიც გვყავდნენ მოძმენი
 სასყიდლოთ, დიახ ძვირია
 ახლა გაგვექცენ, როდესაც
 მათებრი სხვებიც გვეპირია.
 დაგვეტოვეს ობლათ მუხთლებმა
 გაგვხადეს ანატორია,
 პირ ბადე ჩამოახადეს
 ზედ წაითხუპნეს კირია.
 დაგმეს ყოველი სიწმინდე
 ურცხვათ იბრუნეს პირია,
 არც სწითლდებიან თუმცაღა
 საქმე ქმნეს გასაკვირია.
 წითელსა თეთრათ ყიდიან
 სიმართლე მათგან ძვირია
 „სხვის თვალში ბეწვსა ეძებენ“
 თითონ კი უძვეთ ღირება.
 მათ რომ ვეახლოთ სტვირითა
 არ ვიზამთ მგონი საძრახსა,
 საქმე არც იმით წახდების
 თუ ვახლებთ წვერით მათრახსა.
 რომ პირად ინტერესისთვის
 არ უკურთხებდნენ ყველასა,
 რომ ჩვენდა აღმოსაფხვრელათ
 ზეცას არ სთხოვენ შველასა.
 თორემ უბრალოთ იწყებენ
 ბოლო ჟამს თითზე კენასა
 უბრალო მეტყველებათა
 მოგვიწამლავენ სმენასა.

აღ. ზაგლობა.

*) აქ კი სიბრაზით ეშმაკსა
 თემბი აღუდგა ყალბზედა.
 რედ.

მოკითხვის უსტარი ეშმაკს.

ეშმაკო! შევეჯექ ცოცხზედა
 ხელს მეპყრა შენი ფირმანი,
 ჩამოვიარე სოფლები
 ვიხილე ღირსნი ყველანი.

პირველ ვესტუმრე გურიას. გავეშურე შემო-
 ქმედის ბერთა საყუდელისაკენ; აქ მეგულვებოდა
 ღირსეულნი მათრახისა შეხებად. წინამდვარი სახლ-
 ში არ დამიხვდა; ჩემზე ადრე მისულიყო კუდიანი
 შიკრიკი, ემხილებინა და ისიც აღმოსავლეთისკენ

სადაჩოთ წარმართულიყო. დანარჩენი ბერები კი
 თავიანთ თავს თვითონვე იმათრახებდნენ, რატომ
 ღმერთი გაგვირისხდა, არ ისმინე ჩოქვითი ვედრება
 ჩვენი და წვიმა არ მოვიდაო.—დავეკეტე მონასტე-
 რი და დავეშვი დაბლა ჯვარზე, სადაც მამასახლისი
 დამხვდა „დაქიშმანებული“.

თავი მოვიმადიანე, გულ-შუბლ-ტუჩებზე ხელის
 მიდებით ვესალამე, ამბავ-ხაზარი ვკითხე.

— ნეწარ ნეიოქ ყარაღაშ ეფენდუმ, რამ დაგა-
 ქიშმანა ულვაშებში გეყურებანე მეთქი.

— ეილა ძიავ ქობლეთში კაი კაცის შვილი
 ვიყავი, აქნაი ჩემი კაი კაცობა ბეურმა ვერ მიხთა,
 მარა მოგეცა წყალობა იგენს მე მათრახით ქკუა
 ვასწავლო. ჯერ ჯერობით ბევრი აბდალია მევიყ-
 ვანე ქკუაზე. აქედგან სხვაგან გადაყვანა დამიპი-
 რეს, მარა (შემომხარჯოდა ცოტა ცარა) ოზურგე-
 თის დიდმა ხოჯამ გადამარჩინა, მეხმარია რაც შე-
 მოქმედში კაი ქალები და კაცები იყო, უჩიტლებიც
 კი ერია შით, დაფაცურდნენ ისთეველე დამტიეს და
 ბუჯის პირზე კაი პიკნიკიც გამიკეთეს.


— ვინ იყო ვინ მოგეხმარა ეფენდი მეთქი უთ-
 ხარი, მარა მიპასუხა: აგი ჯერ სეკრეტიაო. მე მა-
 ინც არ მოვეშვი „იქი“ ყავეზე დავპატიე „ნარ-
 გილე“ მივართვი, მოქედელ კავკაურ მათრახს და-
 ვპარდი და მერმეთ როგორც იქნა ყველანი ჩამო-
 ვათვლევინე. ამათში პირველი დასტურ ოზურგელი
 ხოჯათ ხოჯა გამოდგა, სამი „უჩიტელი“, ერთი
 „ჩუტუ“ უჩენიკი, ერთი კაპიტანი, სხვები ვანო გა-
 ბრიელის ძე, ვანო გიორგის ძე, ერთიც პაწე ხოჯა
 სხვებიც ისე წვრილ ფეხობა, რომლებიც მდაბლათ
 შენს წინაშე თავს იხრიან და მოწიწებით სალაპს
 გიძღვნიან. კოწია მწერალიც ძრიელ გკითხულობს,
 თან საყვიდურს გიცხადებს, ამდენი ხნის დავიწყე-
 ბისათვის.

შემოქმედლიდან დგაბუში ჩამოველი აქ დამწე-
 რებს მიტინგი გაემართათ: ქ-ნ წინას მისართმევე ად-
 რესს ამზადებდნენ და „ცნობის ფურცლის“ რედაქ-
 ცილიდან მიღებულ ფულებს ანაწილებდნენ. ბევრმა
 ამათგანმა მოგიკითხა: ჩვენ ვიყავით იგი ბიჭები, ქო-
 ნებასთან ერთად სულიც რომ დავწვიოთ, დამხმარე
 კომიტეტის წევრები დავაქვრინეთ, მაგრამ ჯერ-
 ჯერობით ეშმაკის მადლობას ვერ ველირსეთო. კან-
 ცელარიაზე გავედი აქ დამხვდა ახლათ „გადდინე-
 ბუჯი“ ესე იგი გამამასახლისებელი გირკელიძე. ამ
 დელიყანდს შვადლეზე დასძინებოდა და მთავრობის
 სტარშინობა დასიზმრებოდა, ხელში მათრახი ეჭირა,
 იგინებოდა. თან ჩოთქზე სამიკიტროში ნახარჯს სო-
 ფელზე გასაწერათ ანგარიშობდა, თან ღიღინებდა
 „სად ხარ, ნოე მწერალო“-ო.

როგორც კი დამინახა შენთან გულით დი მოკითხვა დამაბარა. ჩაყვევი ჭკლისაკენ ბოხეჯურში ილიკო „თითურა“ შემეფეთა, დამიწყო რაღაც რომანიულ ამბებზე და ვილაცას გაუბედურებაზე ლაპარაკი: „ძალიან მიხარია, რომ ეშაკი ამ გვარ საქმეს არ წერს თავის გაზეთშიო, ამის გამო მე და ჩემი მართალი მოწმეები ეშმაკს მოწიწებით მოვიკითხავთო; მე სიმათლევ გითხრა ვერ გავიგე ვერაფერი, კარგი მეთქი უთხარი გავედი შოსეზე. მინდოდა

შურე. მალე ხიდისთავ-ნაგომრის დილიყანი წამომეწია. ისეთი ხალვათობა იყო როგორც ივანე ჯაყელის დროს ციხეში. ასალოიანებ ოცდა ოთხი იჯდა შიგ—ცხენები შემეცოდვა და მეოცდახუთე მეც დავჯექი მით უმეტეს კოხლიდან კალანდაძე სტრაფი შეპატიებოდა, მეც გვერდში მოვჯექი.

ჩავედი ოზურგეთში—იქიდან სხვა და სხვა ადგილები დავიარე, მაგრამ ეს შემდეგ. ახლა გთხოვ არავინ მოიმდურო და ვისაგანაც მოკითხვა მოგართვი მიიღე და მოიკითხე... უტუუ!?



შვილი. ახლა ამ კარდალასაც ხუცესი წავგართმევს ნენა და რაღა უნდა ვქნათ!
დედა. ოჯახში ხინკი აღარ გვაქვს შვილო! და კარდალაი რაღათ გვინდა

ოზურგეთში ჩავსულიყავი, მაგრამ ჩემდა საუბედუროთ გზაზე რომ გავედი დამახველია. უცებ უკანიდან ძუნძულის ხმა შემომესმა, მოვიხედე უკან და ერთი კაკარდოსანი უჩიტელი მომდევდა ხელში ტუკით. ის ის იყო უნდა ედრუხებია ბზის შავი კეტი, მაგრამ მიცნო და ბოდიში მოიხადა—შენთვის მიპატივებია, რადგან ეშმაკის მოციქული ხარ, თორემ ისე ცოლი რომ შევირთე მერმეთ ამ ქუჩაზე ხველა ავკრძალეო. ამანაც მოკითხვა დამეფალა გადმოვცე. ტარტაროხს მადლობა შევწირე და გავე-

შ ა რ ა დ ა .

გამჩენსა ვფიცავ შარადას არ გავაძნელებ ამასა: არა შევაშთხვევ მკითხველებს მითი სირცხვილის ჭამასა. შინაურ ფრინველს ვეძახით პირველ-საქირო სახელსა... (აღმათ დალატობს თვალები ჩვენში მის არა მნახველსა.)

მას არ უქებენ სიარულს,
 არც ქკუას, არცა ფრენასა...
 (მარტო-და რომი უხსნია
 ერთხელ მათ კრიახ ენასა.)
 აი ამ სიტყვის ბოლოზე
 მოწყვეტა უნდა ანბანსა,
 (დაუსვით ხაზი პირ და პირ,
 ნუ კი დაიწყებთ ყაყანსა!)
 ამისა შემდგომ მონახეთ
 ჩვენში ქალაქი პატარა...
 (უფრო დაბაა, რადგანაც
 ქალაქის სტრუქტურა არარა.)
 სძევს დასავლეთის ნაწილში
 ფაზისის დასამზარადა...
 არც მრეწველობა, არც სხვა რამ
 არ უღირს ერთ გროშ ფარადა.
 მიაწყვეთ ერთი მეორეს
 და ახალს პოვებთ „ცნებასა“,
 „ქართულის“ ხელში „ფრანგული“
 რო მოგაყენებთ ენებასა.
 მწერალის ფსევდონიმია
 ჩვენში ცნობილის კარგადა,
 (ვისა მიიჩნევს მკითხველი
 გონება დანაკარგადა.)
 „შინაურ მტრებთან“ ბრძოლაში
 მუდამ ხმალ-კაპარკეულის,
 გრძელ-გრძელ და ჰაეროვანსა
 სტატიებს გამოჩვეულის...
 ქართული კაპიტალისტების
 მრავალ-გზის მეღან-ნთხეული,
 „დროების“ გვერდზე ცუნტრუკობს
 მედიდურ კულ-აწეული.
 ერთხელ „ლაშქარიც“ მოიხმო...
 თუმც არ შემოკრბა წვეული
 (ქარის წისქვილთან ბრძოლას რო
 ეპირებოდა წყეული.)
 სხვა და სხვა „მოდერებაშიაც“
 ხშირად გინახავთ ხვეული,
 (თუმცა კილო აქვს ყოველგან
 ურცხვი და პირახეული.)

კოლო.



პეტრია გულსვაპაქი

I

ვერ დაპყვედა სოფლის ბედსა
 ასე ძალით, კულა-ძუა,
 რომ შიგნით არ გასჩენოდა
 თვითონ სოფელს ქია-ლუა;

მოსულს მტერსა გაუძღვებდა,
 ჰქონებოდა რაგინდ ძალა,
 რომ შიგნით არ ასტეხოდა
 ყოველგვარი „მაჩანჩალა“...

„ბებურა“, თუ „ესაია“,
 „ფერემა“, თუ „პეტრიელა“
 ესაა, რომ სოფელს სისხლი
 გამოუშრო, გამოსწველა.

ესთქვათ „პეტრია გულსვაპაქის“
 შენ არა ხარ მადლიერი:
 სადაც იყო მისდა მიმართ
 წაგცდა სიტყვა, შესაფერი;

შეჭადრე, რომ ის სხვას სჩავრავს,
 მაგალითად:—მეზობელსა,
 ან და ქვრივი დაიჯაბნა,
 ობლის სახლ-კარს ტაცებს ხელსა,

ან სხვა რასმე მსგავს საქციელს
 იგი სჩადის დაუსჯელათ
 (ქვემოთ ჩვენ მოგიყვებით
 ამ საქმეზე უფრო ვრცელად).

ჰო და, ამ გვარ საქმისათვის
 თქვენ პეტრია განაწყინეთ,
 მისი ესდენ გალაღება
 სოფლად რო ვერ მოითმინეთ.

მერე იცით, რას სჩადიხართ?
 თქვენ ამისთვის რა მოგელით?
 ეგ ცოტაა, თუ გადარჩით
 მარტო ერთ წელს ციხე ბნელით.

ცივ ქვეყნისკენ ხუთის წლითა
 თუ აგკიდეს საგზალობარგი,
 ან შენ ხარჯზე საზღვარ გარეთ
 თუ გაგიშვებს,—ესეც კარგი.

მაგრამ ვაჰ, თუ „ასი მუხლის“,
ან „ასორი მუხლის ძალით“
რაიმე ცილ დანაწამი
გსაჯეს ამდროს სამართალით!...

მხოლოდ მაშინ შეძლება,
თქვენ გაიგოთ იმის ძალა,
თუ რას ნიშნავს ვინმე „პეტრე“,
აგი სოფლის „მაჩანჩალო“...

II

„ნარიანი“ სოფელია,
მთის კალთაზე დაგებული,
ოღრო-ჩოღროს, უსწორ-მასწორს
ბოლო აქვს დაეკებული.

ამ ვაკეში მოდუღუნე
მდინარისა პრტყელი ზოლი,
იკეცება, და კრიალებს
მზის სხივებ ქვეშ როგორც ბროლი;

მის პირებზე მინდვრებია,
სახნავი და მოსათესი,
თვალ წარმტაცი სანახავი
არ იქნება უკეთესი:

მალლიდგან—მთა, ქვეშ სოფელი,
ძირს—მდინარე, მომღელვარე,
და იქით კი ვაკეებათ
დაფენილი არე მარე;

იქით—გზაა, იქით კიდევ...
სხვა მიდამო, სხვა სოფელი...
ყველა ერთად წალკოტია,
სანახავად სანატრელი!..

„ნარიანის“ შუა გულსა
მალლობია აღმართული,
საიდანაც ეგ სურათი
მოსჩანს, როგორც ხელის გული.

ამ მალლობაზე მედიდურად
დიდი ოდა სდგას, ფიცრული,
ქვის ბარჯგებზე დაბჯენილი,
ქერაბინით დახურული;

წინ მოუჩანს ფართე ეზო,
შკერის ღობით მოფარგლული,
და ზედ, მეტი სიმღერისთვის,
თხრილები აქვს შემორგული...

აქ სდგას პეტრე გულსვაფადე,
სოფლის ერთი მაჩანჩალო,
თუმც სოფელში გულსვაფადეს,
ვიცი, რომ აქვს დიდი ძალა.

—სამ წელიწადს ვსუდიობდი,
თორმეტს—ვმამასახლისობდი,
ამდენი ხნის სამსახურსა
უსასყიდლოთ ხალხს ვუთმობდი“...

ხშირად პეტრე თავის თავზე
მოუთხოვს თვის მაყურებელს,
და ჰფიქრობენ: „მართლაც მამა
ჰყოლიაო ამ ერთ სოფელს!“..

ნამდვილათ კი ამ პეტრეზე
კული რამ ხმა დადიოდა:
თავის ხანგრძლივ სამსახურში
იგი რას არ სჩადიოდა!...

ეჭრთამოთ ხომ მასთან კაცი
თხოვნით ვედარ მიდიოდა.
(პეტრემც ამით შეიძინა
აგი ეზო აგი ოდა).

მასთან ბლომა ხალხის ფული
შეუმჩნევლად გადაჰყლინწა,
გასუქდა და გაყოყორდა,
როგორც ერთი მამლაყინწა;

ბევრი ფული გაასესხა,
ბევრი მიწა შეიძინა,
ძვირფასი ნოხ-ხალიჩები
სახლში კედლებს მიადინა.

დიდხანს თალა მან სოფელი
გამოხრა და გამოსძვალა,
და უმართლოდ სოფლად ბევრი
დასჩაგრა და გააწვალა.

მაგრამ ვიცი, რომ „არ ძალუძს
კოკას მუდამ ზიდვა წყალის,
რომ უსაზღვროთ ვერ იდინებს
საქმეც სოფლის მაჩანჩალოს.

ასე პეტრე გულ სევაძის
ბედმა დიდხან ილიდინა,
მაგრამ ბოლოს შავი ნისლი
მასაც უხვად მიეფინა...

III

თავი როგორც კი წამოყო
სოფლად ხალხის მოძრაობამ,
თვისი ბედის დასასრული
წინათ იგრძნო ამ „ობობამ“.

და შეიქნა „ჩუმი ამბის
ჩუმად მიმტან მომტანელი,“
თუმცა მისი ოინების
გამომხელა დარჩა ძნელი.

სიტყვით ხალხის მოძრაობას
ახარებდა და მოსწონდა,
იმის ერთგულ თანამგრძობათ
ხშირად თავიც კი მოჰქონდა.

მაგრამ მარტო ტკბილი სიტყვით
ავ განზრახვებს ვინ დამალავს?
პეტრეც თავის ოსტატობით
თავს ამაოდ დაილაღავს.

ხალხი რომ მოლონიერდა,
პეტრეს „ჯაქვზე“ შეედავა,
უთხრა, რომ აწ საქმათა
რაც მან ხალხი გაატყავა:

— „დავივიწყეთ ის. რაც იყო.
აწ ჯაქვი სხვას დაულოცე,
ავი ზნე და საქციელი
მოიშაღე, წარიხოცე.“

ყველას გაუთანასწორდი,
ნუ-და უცქერ მოძმეს მგლურად
და გარწმუნებთ, რომ შეგიტკობთ
ამხანაგურ მეზობლურად.

თუ არა და... შენის ქცევის
განგრძობის გაქვს სრული ნება,
მხოლოდ ბოლოს რომ ინახო,
ჩვენზე ბრალი ნუ იქნება!..“

ამაყ პეტრეს თუმცა მკვახე
ეგ სიტყვა არ ეპიტნავა,
მაგრამ ენა არ დაუძრავს
საქმე უხმოდ გაათავა.

რადგან კარგათ იცოდა, რომ
ეხლა ხალხში იყო ძალა

და მასთან რას გახდებოდა
პეტრესთანა მაჩანჩალო!

მხოლოდ გულში საიდუმლოთ
მან უხამი შემოინახა,
თუმც-კი საქმით ასრულება
მისი ჯერ ვერ განეზრახა...

ნ. ზომლეთელი.

(გაგრძელება იქნება.)

ემბაკის ანდასებები.

„ბატონსა“ ჰკითხეს: — ემაწვილო,
ეგრე რათ ილანძღებო?
— რა ექნა, უნაგირს დავამტვრევე,
რაკი ცხენს ველარ ვწვდებო.

„გველსა ხვრელით გამოიყვანს
ენა ტკბილათ მოუბარი“,
გუნისა არ დარჩება
არსად დრამა მოუბარი.

„არა შეჯდა მწყერი ხესა,
არა იყო გვარი მისი“,
მოგცეთ ენა „ივან“-ისა“
და მუშტები „გიორგისი“.

„ავი საქმე, ავი სიტყვა
ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“
არ შერჩება ცბიერობა
„ივერიის“ მოციქულსა.

„გული კრულია კაცისა,
ხარბი და გაუძლომელი“,
იცნობდეთ ლობჯანიძესა
ქუჩებში დაჰქრის რომელი.

ზ ა ს ა რ თ ო ბ ი .

— ძვაო თედორე, მოჰიძებნე სადმე თეატრის
მახლობლად სამი ოთახი, თვეში ოთხ თუმნად ღი-
რებულნი.

— რას ამბობ, კაცო! უფრო ადვილია გვაზა-
ვას პოეზიაში აზრი მოსძებნო და გუნისას დრამე-
ბში ორგინალობა, ვიდრე თბილისში სამი ოთახი
იშოვნო და ისიც თვეში ოთხ თუმნათ.



ნაჩილუბი ეზგაიოსადი

სამტრედიის რაიონი. რადგან ზოგიერთმა პირეზმა ხმები გაავრცელეს სად. სამტრედიის I კლ. ბუფეტში ქიდაობა არის დანიშნულიო, მეც ვავეშურე დასასწრებლათ, მაგრამ ბევრი ლოდინის შემდეგ ქიდაობის ხელმძღვანელმა რაღაც მიზეზების გამო უარი განაცხადა, ეს ძალზე იუკადრისა ბუფეტის პატრონმა **მიხა მიჭაძემ** გადაიხატა, ეცა იქ მდგომ ერთ პირს, მისწი მახწია, და რადგან ვერა დაკლო რა, მოიყვანა სადგურის დარაჯი, მაგრამ დახეთ უბედურობას ვერც დარაჯის შემწეობით დაძრა ადგილიდან, კინალამ თვითონ კისერი მოიტეხა აქედან გავსწიე დეპოსაკენ. იქ მუშები შეკრებილიყვენ და კამათობდენ რა შინაარსის სამგლოვიარო წერილი გაეგზავნათ რედაქციაში, საზოგადო მოღვაწის გარდაცვალების გამო. დიდი კამათი გამოიწვია იმ კითხვამ თუ ვის წავიღო წერილი რედაქციაში. „ფოსტას“ თუ კაცის ხელით გაეგზავნათ. ბევრი ლაპარაკის შემდეგ რომ „ფოსტის“ ხარჯი არ მოსვლოდათ, გადაწყვიტეს კაცის გაგზავნა. დეპოდან ფოსტისაკენ შეეუხვიე და შემდეგ სურათს წავაწყდი, სცემია გიორგის ალექსი შენგელია გინდა თუ არა 90 მან. მომეცითო. ძალიან გაიიკვირდა. ბოლოს გამოირკვა შემდეგი: თურმე შენგელიას ფოსტის უწყება მიეტანა შემოწმებული, რომლითაც უნდა მიეღო 90 მან. შესვლის დროს უწყება გადავარდნოდა და ქარს იქ გადაესროლა, სადაც გიორგი იჯდა. ეს გიორგიმ ვერ შეაძწინა, შენგელიამაც ვერ მიხვდერა და კინალამ მოკვა უსიამოვნობა. ის იყო გიორგის დარაჯისთვის უნდა დეძახნა, რადგან ასეთ ცილის წამებისთვის დაესაჯა ეს უცნაური მაგრამ ჩემი და **ერმალოზის** რჩევით აპატივა, რითი ვერ ისწავლა ამხანაგმა გიორგის ხასიათი. აქედან ექიმს ვესტუმრე, რადგან უცაბედლათ ცუდათ შევიქენი გზათ რამდენიმე ქალს შევხვდი რომლებიც ექიმზე ლაპარაკობდენ. ბებრები გაიძახოდენ ვის უნდა დაუჯეროთ სამტრ. ბელურებივით ეიმსო. ექიმებით და

ფერწლებით და აფთიაქი ხომ ყოველ ფენის გადაღვმაზეა, მაგრამ ჩვენს ავთომყოფებს არ ეშველა რა დალოცოს ღმერთმა ძველი დროი, რაცხას სოფელში გაღესავდენ დავლევდით და ქე ვუყავით კარ გაყოფი. ახლა ღმერთმა ნუ მანახოს მისი თავი ვინცხა სტუდენტი არის **ნიკურაძე**. ვიფიქრე ჯამიან მივალ და რაც უნდა იყოს ჩემი რძლის ბიძაშვილი იმას გავაკეთებინებ რაცხა ნემსები მირჩია ექიმა. მარა მორჩენის მაგირათ აგერ ნახვარი გვერდი დამილბეს მგონი, მე უბედურს ქე მირჩიეს სხვას გააკეთებთიერა რა ვიცოდი ეს ვილაკა **ნიკურაძე**, თუ ასე მილალატებდა ასე ამ რიგათ ლაპარაკში ვიყავით მივწიეთ ბ. ექიმთან მაგრამ ვერ ვნახე. და ყველანი თავთავიანთ სახლში წავიდ წავმოვიდენ, — რკინის გზის ბოლნიცაში რამდენი სტოროჯია, იმათ რომ ყველამ ექიმობა დაიწყოს მაშინ ბოლნიცაში სასტოროჯო კაცს ვერ ვიშოვნით **ნიკურაძე** კი გამომდგარა და გაიძახის მე პრაქტიკა ბათუმის ბოლნიცაში ჯისწავლე იქ ვიყავი „სტოროჯათო“ რადგან ბ. ნიკურაძეზე დიდათ გაჯავრებული არიან ზოგიერთი პირები მეც მამა შვილური დარიგება მივეცი ბ. ნიკურაძეს დღეიდან, რაც მისი ხელობა არ არის, ნუ ეტანება, თორემ დიდ ეშმაკთან გაგამხელ მეთქი ისიც დათანხმდა და აქედგან გავეშურე რკინის გზის როტანდისაკენ რადგან იქ წარმოადგენა ქონდათ ოზურგეთის რიალური გომნახისთვის. ამაზე შემდეგ

ისევ ის ვარ.

ქუთაისი. პატივცემულო ძმაო ეშმაკო! უმოჩნილესად გთხოვთ ამ ჩემს მცირე თხოვნას გვერდი არ აუხვიო და მით მტრები არ გაგვიხარო. ამას წინეთ რაღაც საქმისთვის აქაუ **ფოსტაში** ვავიარე და იქ ერთი ახირებული ტიპის ვვგ. იოსელიანის ყვირილი მოვისმინე. ის თურმე მოიუფროსებს დანარჩენ მოსამსახურეებზე და ამით გათამამებული ყოველ დღე უშვერ სიტყვებით და ბაქი ბუქობით მოსვენებას არ აძლევს დანარჩენ მის ხელქვეითებს. მე თქვენი უფროსი ვარ და ჩემზეა დამოკიდებული თქვენი ბედ იღბალიო. მე შემძლია ვინც მინდა დავითხოვოთო და სხვა...

ასეთი მისი უაზრო ყვირილი და ბაქიბუქი, მართალი გითხრათ არ შექაშნიკა და იმავე დღეს გამოგიგზავნე წერილი გახსნილი პაკეტით (ორ კაპეციანი მარკით) და გთხოვდით რომ ევგენის მათრასი მოუხდებოდათ. თურმე ნუ იტყვით რაღაც ეშმაკათ ეს გახსნილი პაკეტი მის ხელში მისულა, უნახია, წაუკითხია და კინალამ ანთება გაჩენია თავში. იმავე წამს მოუხდენია შეკითხვები იქაურ მოსამსახურეებზე და პირდაპირ მოუთხოვია იმის დამწერი, მაგრამ რას ნახავდა როდესაც იმის გამოგზავნი მე გახლდით სულ გარეშე პირი და არა იქაური ვინმე მოსამსახურე. დღემდე მე გელოდებოდი თქვენი მათრასით ქუთაისში ევგენის მოქმედებითა განსასჯელათ, მაგრამ როგორც ვხედავ არ მიგიღია ის პირველი წერილი. და ახლა განმეორებით გთხოვ არ დაიზარო ორიოდ კული მათრასისა განებებურებული მსახურისათვის.

გრამაფონი.

ფოთი. ძმაო ეშმაკო! ამ დღეებში აქ „ნოქარ პრიკაშიკებს“ კრება ქონდათ. სერიოზული კითხვა იყო წარმოყენებული. კითხვა შეეხებოდა ხუთ საკითხს მალაზიის გაღებას, კარტ, ნარდ, და დომინოს თამაშს. რადგანაც უმეტეს ნაწილათ წაგებულნი რჩებიან, ერთ ხმათ დაადგინეს, გამოიწერონ საერთო ხარჯზე „აფერისტ“ — კარტოქიკი.

აქ დაარსდა განმანათლებელი საზოგადოება ლექციების კითხვას უკვე შეუდგენ. ლექციები წაკითხულ იქნა შემდეგ თემაზე. „ლევანის პოეზია“, „საფუთე გადასახალი და ფოთის აღორძინება.“ „უმადლეს გენიოსის ქანტურ ფილოსოფოსის“ მოღვაწეობა, დასასრულ ლექტორმა გაგვაცნო, ლევანის ბადალი არ გყავს ქართულ პოეზიაშიო. ქანტურ ფილოსოფოსი“ კი რუსულ ფილოსოფიაშიო. მიუსვდავთ იმისა რომ ფოთელები საგარაკოთ არიან წასული, დარბაზი სულ მთლათ გაქედილი იყო. ხალხს ძალიან მოეწონა ლექცია, უმეტესათ ბარიშნებს, ბარიშნებმა ლექტორი „ბუკეტებით“ და არმიყობით დააჯილდოვეს.

როგორც სარწმუნო წყაროებიდან ვავიგე ფილოსოფოსის ლექსებს „მეგრულათ სთარგმნიან „ახალ სიმებს“ კი ფრანგულათ. ამ ახალ მგოსნის წიგნებს, იმისთანა ბედი ეწვია თურმე, რომ გამომცემლებს ორი ათაი ქანქარი მოუგიათ.

ილო.

ბორჯომის დეპო.

ძმაო ეშმაკო! აქ მუშები მისცემიან საღათას ძილს: და ელიან გამღვიძებელს მათრახოსანს და გამოცდილს. საზოგადო საქმისათვის თავს არ იცხელ იხურებენ და კარგი თუ რამე უთხარ

შესაქმელათ გიყურებენ. ყურნალ-გაზეთს გაურბიან როგორც კრუხი ქორ-მიმინოს... თაყვანს სცემენ სველ ხელადებს და რუმბების წითელ ღვინოს. პოლოვცევის მეტყველებას ბევრმა კიდევ წააცილა, ძვალ-რბილში აქვთ გაქსოვილი ლანძღვა-თრევის მათ ბაცილა. საუცხოვო ტიპი არის დეპოს გამე „მონტიორი“ ამის მსგავსი, დამერწმუნე არც გინახავს ერთი-ორი. პირზე აკრავს „მალარიჩი“ შემოგძახებს როგორც განახავს, და თუ უარი გაუბედე „საპოქნიკათ“ გამოგსახავს. ერთ საბრალო მომუშავეს ამ წინაზე უქნა „ჩიჩი“, სამუშაოდან ვაავდო ისე გაწყრა მალარიჩი. დათხოვილი მუშა თურმე შეაშინა ამ ამბავმა და ვაგიჟდა, რადგან ტანჯავს ვერ გაუძლო საცოდავმა.

რიმკუსა.

სად. ხანაინი. ადგილობრივი ბუფეტი სწორეთ „ხარჩენიას“ მოგაგონებსთ. მიზეზი ის არის რომ მოიჯარადრეები ფინანსიური მარით კრიზისს განიცდიან, ბუფეტს ვერ ინახვენ როგორც რიგია და თავს მაინც არ უჯერებენ. მოსამსახურეებზე მთელი წლის ჯამაგირები მიუცემელი აქვთ და ამის გამო მოსამსახურეები ტანისამოს მოკლებული არიან და ტიტვლები მსახურებენ ბუფეტში და სამხარეულოში. ამას უნდა დაუმატოთ უფროსი მხარეულის მოქმედება: ბატონი ჩაჩუა როცა „ვისტავკაში“ გამოდის მატარებლის მოსვლის დროს აუცილებლათ გაღეშილი უნდა იყოს; და თუ მგზავრს მათლაფაში ბორშის წვენი დარჩა, ის ნარჩენი, სუფთა ბორშში უნდა აურიოს! ბევრჯერ შეუნიშნავს მგზავრებს: ეს, მაგრამ რა პასუხი უნდა მოსთხოვონ შულავერის ღვინით დამთვრალს, მხარეული პორციის მიცემის დროს ბუზებსაც ბევრს აყოლებს, ალბათ გარნილის მაგიერ. ბუზების ქამის კიდევ ვაუხლებდენ მგზავრები ნარჩენ ბორშს რომ ხელ შეოროთ არ აქმედდენ.

სხვა არც ევტიხი მღვინის მოქმედება შეიძლება უყურადღებოთ დავტოვოთ. ბატონმა ევტიხიმ ამ დღეებში ერთ სოფელ სომენს სცემა, იმიტომ რომ სომენმა დილაზე საღვურში კუ-

რდელი შემოიყვანა გასასყიდათ ეს დაინახა თუ არა ევტიხიმ მივარდა და საწყალი სომეხი მაგრათ მიბეგვა და თან აგინებდა შენ მა...ლო რათ დამინამე ამ დილა აღრიანათ და კურდღელი რათ დამინახვეო. მიშველე და ჩამოდი თქვენი მათრახით მაგათ შესახურებლოთ.

ვაგურელი.

თელავი თქვენო უეშმაკებულესობავ! როგორც დავალებული მქონდა მოვიარე თელავი ავუარ ჩავუარე ნერსესას და ვანოს ღიზნაზიებს. შაბათს საღამოთი ერთ წუთს მოვიარე ღვთაება, ნადიკვარი, ქანდარი, ბურჯი, ბოლვარი. ვნახე ბევრი კოქლი და კოპწია—კობტა ქალები. ყველა „მათრახის-ლაპარაკობდა“ და თელავიდან მოწერილ ამბავს კითხულობდა. კარგ გუნებაზე და ძალიან კმაყოფილნი იყვენ გოტაძე და ონიკაშვილი, რადგანაც ყველა ნომრები ერთ საათში გაეყიდათ. ვანო, ნერსესა, იასე, ბუზნაიანის ბიჭი კი სიბრახასგან კბილებს აკრაქუნებდნენ და მის დამწერს სიკვდილით ემუქრებოდნენ. გავიარე, გამოვიარე ყველას პირში უყურებდი, ყველა მე მიყურებდა. ვნახე ჩვენი პედალოლი იოსები თავისი ცოლით, რომელსაც გვერდზე მისდევდა ვილაკა ახოვანი ჩოხოვანი. უცბათ დადგა კორიანტელი, მტვრათ ამეგსო თვალები მეგონა ამ შუალამისას „დვორნიკები“ ბულვარს ჰგვიან მეთქი ჩამოვდექი, დავინახე კოქლი, რიჯა, კაკარდოსანი, ხელში მოკლე ჩაქუჩი ექირა. თურმე ნუ იტყვი ბევრი კვეხნით მთელ ბულვარს ის აბუქებდა. იმ ღამეს ძალიან მაგრა დამეძინა, მეორე დღით ქვეშაგები და ლოგინი სისხლით იყო მორწყული, მთელ ტანზე კი ბევრი ლუღუღები მიჩნდა. ვინატრე ახოვანის „კლაპოენიკი“ და გავსწიე აფთიაქის მაღაზიაში. შორიდან თვალი მოვკარი აფთიაქის წინ მდგომარე მშვენიერ ასულს მიუახლოვდი, ის დამაცქერდა, მეც დავაცქერდი, მაგრამ თქვენს მტერს რაც მე სანახავი ვნახე მთელი პირისახე პუდრით ჰქონდა შეღვსილი. „ზაპასიკ“ არ დავიწყებოდა: ცხვირის ნესტოები, ყურები, თვალები სულ მთლათ გამოკვდილი ჰქონდა პუდრით. შემეკოდა მეაფთიაქე. ვიფიქრე: შეიძლება სულ ამან დალუპა ამისი პატრონი მეთქი. მართლაც შევიხედე და ყაფაზებზე ცარიელი მუშები და ეწყობა დაბლა პადელიდან ტკბილი „კახური“-ს ხმა მოისმოდა. ჩავიხედე, დავინახე ჩვენი დრამატული დასის არტისტები: საშა, თივოძე, ბეგლარა, კოტე და კიდევ სხვანი. ვიკითხე მიზეზი ქეიფისა. მითხრეს „დამის“-თვის ეშხადებიანო. წავედი საპარკმახეროში დავინახე თფილისელი დალაქი სიკო. დაექირა უზარ-მაზარი გაზი და პატარა ბიქს კბილს ჰგლეჯდა. იმისმა ღრილიმა ნერვები ამიშალა და ჩავედი ქვემოთ. დავინახე მალაიი კაცი ჩაქუჩით მოსდევდა ერთ პატარა ბიქს საცოდავი ბიჭი ღრილობდა: „მიშველეთ მომკლესო“. დამეხრაკა გული. თურმე ეს ბიჭი ყოფილა იავანოვის შეგირდი და

ხაზენი სცემდა იმისთვის, რომ დაბნეულ შვილკებიდან ერთი დავიწყებოდა.

ვიყავი შილაში ამ სოფლის ახალგაზრდობას სამკითხველო საზაფხულო ჩგლთის პირას და ქანკოტაძის დუქანში მოეწყათ. გავიარე ყვარელში, დავრჩი ენისელში. ბევრი საცოდაობა ვნახე ამ კურთხეულ ქვეყანაში: სიცხე პაპანებაში იდგენ ურმებით ავათმყოფები და ელოდენ ექიმს. გამოვიდა ექიმი. ახოვანი ყმაწვილი. ცხვირზე სათვალეები ჰქონდა გაკეთებული. მინდოდა გამეგო რა ადამიანი იყო, მაგრამ გამოგზავნილმა დუქნის ბიქმა არ მომასვენა: „პატრონო, წამოდი კახაშვილი აღარ იცდის და დედის გონებით ილაჯი წაიღო, წამოდი თორემ დღესაც აქ დარჩებიო? გამისქდა გული და გამოვწიე დილიჯანისკენ.

ღ. შებ—ლი.

ს. გუბი (ქუთაისის მახრა) ძმაო ეშმაკო! მოგხსენებათ რომ ჩვენი გუბი ცოტათ თუ ბევრათ კულტურულ გზას ადგება. მისი მოწინავე ელემენტებით ცოტათ თუ ბევრათ ლაღაც ფაცა ფუცში არიან და კუს ნაბიჯივით მიიწევენ წინ, რომ თითო ახალი ლიტერატორი და ლიტერატორმა აღარ გველევა. თქვენ ძმობილო არ გეგონათ, რომ ეგ ლიტერატორმა უბრალო ლიტერატორმა იყოს ეს ლუბა გუბელია. ის ლუბა გუბელია, რომელიც ცნობილია მეზობლის ღობე ყორეებზე უსახელო წერილების შემოდებით, რაებს არ ჩამახავს და ცილს არ წამებს მეზობელ ამხანაგებს ღმერთმან არ იცის, შენ ამისთანაო შენ გასათხოვრათ არ ვარგხარო ეს კოქლია და იმას სულ ვინ შეხედავსო და სხვა...ესეთია ლუბას მოღვაწეობა ძმობილო. მაგრამ საჭიროა გავასწოროთ ლუბა, გავატაროთ მათრახის ქვეშ. და თუმც სიმართლეს არც მამეინ იტყვის მტრით კისაჭიროა თქვენი მათრახის ძალა. ექვიარაა მალე მოგიხთებათ ძმობილო აქეთკენ მოგზაურობა და რაღა გასაკვირველია ჩვენს ლიტერატორმა ლუბასაც ინახულებთ. ლუბას კითხეთ იმ წერილებს რომ წერდითქო ცენზორათ ვინ გყავდათქო? ლუბა გაწითლდება, მაგრამ მაშინ მას მოაგონეთ მისი მესაიდუმლე თეო (ბიძაშვილი) და როდესაც ლუბას მოაგონდება წასრული დრო და გაიხსენებს უსახელო წერილებით ამხანაგების ქებას რომ სწერდენ მაშინ დამშვიდდება და სიმართლესაც იტყვის. ეცადეთ ძმობილო სიტყვა არ გამოგტყვიდოს, რომ შემდეგში მასალა არ ექნეს და მისებურ თხუპნია ვახეთში არ გამოგკიომოს. იქნებ ეშმაკჯან, ლუბას მამა გაწყრეს, მაგრამ უთხარით თქვენ მართლად ხართქო და თქვენ რომ დეიფიკეთქო ისეც მართალი არისთქო, მხოლოდ შენი ლუბაა დამნაშავეთქო ესე და ამ გვარათ ძმობილოჯან შენ იცი რამდენჯერ ვადაკრამ ლუბას შენი მადლიანი მათრახის წვერს, და მოიყვანთ კკუაზე.

გურული მეთვალყურე.

წვირილები რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! თქვენი „მათრასის... უკანასკნელ ნომერში (№ 10) მოთავსებული იყო ცნობა: „წყნეთის ქუჩაზე ტრამვის მოძრაობის გასაადვილებლათ უსახელო საზოგადოების ღირეკციას საჭირო სიგნალიზაციის მოწყობა განუზრახავსო. ეს მტკნარი სიცრუეა. თოგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგე, ასეთი ახრი ჯერ არავის მოსვლია თავში და რამ კიდევაც მოსვლოდა, მისი განხორციელება თითქმის მოუხეობზეელი იქნებოდა. მიზეზი სხვათა შორის კანტორაში აღმოჩენილი ყლიწია. ამისათვის ვიწვევ იმ ტყუილი ცნობის მომწოდებელს სამედიატორო სამართალში.

ტრამვის კეთილის მყოფელი.

პატივცემულო რედაქტორო! გთხოვთ გამოაცხადოთ კოწია კიკაჩიშვილის საყურადღებოთ, რომ მე სიამოვნებით ეთანხმდები სამედიატორო სამართალზე და ჩემი მხრით ვასახელებ: იუსტინეს და გიორგი ღუნდუას.


პატარა ბზიკი.

ბატონო! თქვენი ჟურნალის მეათე ნომერში მოთავსებული იყო სახუმარო ცნობა: თითქო დრამატიულ გამგეობას ჩემთვის სტიპენდია დაენიშნოს. მიკვირს რაღა ჩემზე მოიცალებთ საოხუნჯოთ, როცა სინამდვილეშიაც სტიპენდიები ლოთებსა და უსაქმურებს ეძლევათ ხოლმე.

ვ. გუნია *).

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ: ჩემ შესახებ თუ გაზეთში დასაბეჭდათ ცუდი რამ მოგივიდეს არ დაბეჭდოთ. იცოდეთ მთელი სოფელი მტრათ მყავს გადაკიდული დრამის ფულის შესახებ.

წმინდა გიორგის შტატის მღვდელი დიომიდე ცხვარაძე.



მათრასის ფოსტა.

ძუთანი. კონსტანტინე გლოვს. თქვენ ნაწარმოებთ „ახრში“, ახრს ჯერ-ჯერობით კვალი ვერ მივუგენით. გამოძიება სწარმოებს.

*) ექვში შევდივართ ეს წერილი მართლა ბ-ნ გუნიას ეკუთვნოდეს, ვინაიდან მასში ცოტათ თუ ბევრათ ფხიზელი ახრია გამოთქმული.

რედაქ.

ბათუმი. გრიშას. შეუდექით თქვენი „გამოცანის“ გამოცნობას. გთხოვთ ვიდრე ამას გამოვიცნობდეთ სხვებს ნულარ გვიგზავნით.

ბახში. ჩიკვანტინოს. ზედა ბახველ მოარშიყეთა და მოკარტეთა» შესახებ თქვენი ლექსის დაბეჭდვა უხერხულათ მიგვაჩნია, რადგან კარტის მოთამაშეებს ალბათ ხელი წაუცდათ და თითონაც დაანებებენ თავს, ხოლო „მოარშიყე ნოე“ ჩვენი მათრასით რამდენიც გინდა ხეხო მაინც არ გათერთდება.

წვირილა. სინათლეს. თქვენი შარადა არ არის სინათლეზე გამოსატანი.

„ზოგს უყვარს ბევრს სძულს ქოფაქი

ამ გვარის დამტარებელი,

ვაჭრებ ხუტო ქომაგ, გლეხების

დამრბველ გამტყავებელი».

ეს „ვაჭრებ ხუტო ქომაგ“ მაინც ხომ ნამდვილი მშვენიერებაა.

სამბრამდია. სალამს. სალამისათვის მადლობა, მაგრამ მიუხედავთ ამისა თქვენს პოეტურ ნაწარმოებს მაინც ვერ დაგებედავთ. განა ასეთი საუცხოო ლექსის ღირსი არიან ფილკოვსკი და იქ მომუშავე ბარიშნები?

„დღე და ღამე ერთათ ყოფნა

და დროს გატარებოთ

ამის მეტი რაღა გვინდა

იმას ვენაცვალებოთ“.

სად გვაზავა და სად სალამი.



იუძორისკულ. პოპულიზარული, ეოველ-კვირკული, სურათებიანი ქურნალი

„მათრასი და სალაამურნი“

წელიწადში ღირს ჩ მან., ნახევარი წლით— 2 მან. 50 კ., ერთი თვით— 50 კაპ.

ვინც წლის ბოლომდის გამოიწერს და ღირებულ ფასს (2—50) სრულად გამოუგზავნის რედაქციას, გაეგზავნება აგრეთვე უკვე გამოსული „სალამურის“ აღმანახები 7 ნომერი.

მიიღება დასაბეჭდი განცხადებები: პირველ გვერდზე სტრიქონი 20 კ., უკანასკნელზე—10 კ. დროებითი რედაქციის ადრესი: Тифлиς, Типография Т-ва «Шрома» Василию Болквдзе.



(ცნ. ფ.)

ხოლოვამ შემოიარა
ქალაქში დასარჩენათა,

მაგრამ ვერ გასძოო, სიმურალე
უხვად მიართვეს ძღვენათა.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ

ახალი დრამა

პ. ი რ ე თ ე ლ ი ს ა

ქრისტინე

(სიუჟეტი ადგებულია ე. ნინოშვილის მოთხრობიდან).

წიგნის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ნაღდ-ფულზე შემდეგის ადრესით: *Тифლის, Типография Шрома В. К. Болквадзе.*

ვინც არა ნაკლებ 50 ცალისა გამოიწერს, დაეთმობა 25%.

ვისაც სურს პროვინციებიდან თითო ცალი გაიწეროს, შეუძლია გამოგზავნოს ერთი აბაზის მარკები და ამ ფასში მიიღებს თავის ადრესზე.

იყიდება „შრომის“ სტამბაში

და ზვრეთვე გაცე სავსებით მსურველთ:

- 1) „ეშმაკის მთარახი“ 1907 წლისა 13 ნომერი ერთად შეკერილი. 1 ლ. 30 კ.
- 2) „ეშმაკის მთარახი“ და „მთარახი“ 1908 წლისა, 35 ნომერი ერთად შეკერილი 2 — 50
- 3) „ალმანახები“: აკაკი, ეშმაკი, ჯოჯოხეთი, ეშმ. მთარ., და ტარტაროზი, —სულ 10 ნომერი ერთად შეკერილი — 50
- 4) „ქრისტინე“, ოთხ მოქმედებიანი დრამა ე. ნინოშვილის მოთხრობიდან პ. ირეთელისა — 20

ვინც პროვინციებიდან გამოიწერს და ღირებულ ფასს გამოგზავნის, ფოსტის გასაგზავნი ფული არ გადახდება.

მსურველმა უნდა მიმართოს „შრომის“ სტამბაში, ვასო ბოლქვაძეს. ფულის მაგივრად ფოსტის მარკების გამოგზავნაც შეიძლება.